



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ნაღვნიხის მუნიციპალიტეტის მერის**  
**ბრძანება**



ბრძანება: **ბ126.126220686**

თარიღი: **09/03/2022**

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 85<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე 53-ე და 54 -ე მუხლების, საქართველოს მთავრობის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის № 654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები № 1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.
2. მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.
3. თითოეულდა დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს №1 დანართის მიხედვით.
4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-საათიდან 18საათამდე, 2022 წლის 23 მარტის ჩათვლით.
5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.
6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:
  - ა) გია შელია - ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ურბანული განვითარების სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ( მობილურის N 599857122 ელ. ფოსტა: [giashelia1@gmail.com](mailto:giashelia1@gmail.com) );
  - ბ) ლევან შენგელაია - ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ურბანული განვითარების სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი

სპეციალისტი (მობილურის N599934503 ელ. ფოსტა. [shengelia82@gmail.com](mailto:shengelia82@gmail.com) );

გ) გიორგი ჯინჯოლავა-მერის წარმომადგენელი წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N 593 42-42-76 ელ. ფოსტა. [merisrcmunebuli@gmail.com](mailto:merisrcmunebuli@gmail.com) );

დ) ირაკლი ხარჩილავა-მერის წარმომადგენელი ჯვარის ადმინისტრაციულ ერთეულში ( მობილურის N 595 50-56-24 ელ. ფოსტა. [Kharchilavairakli1@gmail.com](mailto:Kharchilavairakli1@gmail.com) );

ე)დავით ფიფია-მერის წარმომადგენელი ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N511 24-21-65 ელ. ფოსტა. [davit.fifia63@gmail.com](mailto:davit.fifia63@gmail.com) );

ვ)ხვინა ლუკავა-მერის წარმომადგენელი ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N511 24 26 48 ელ. ფოსტა. [Sali.molachxia@mail.ru](mailto:Sali.molachxia@mail.ru) );

ზ) გოგი ჯოლოხვა-მერის წარმომადგენელი მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N599 25-80-01 ელ. ფოსტა. ----- );

თ)ლევან კვარაცხელია-მერის წარმომადგენელი ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N 591 91-42-43 ელ. ფოსტა. [levanijgali@gmail.com](mailto:levanijgali@gmail.com));

ი)იური მიქავა-მერის წარმომადგენელი მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N577 61-75-07 ელ. ფოსტა. [iurimiqava56@gmail.com](mailto:iurimiqava56@gmail.com) );

კ)ბელა კვიციანი-მერის წარმომადგენელი საჩინოს ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N568 98-87-57 ელ. ფოსტა. ----- );

ლ)თორნიკე ქუხილავა-მერის წარმომადგენელი ჩქვალერის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N511 24-22-93 ელ. ფოსტა. [turnikeguxilava@gmail.com](mailto:turnikeguxilava@gmail.com) );

მ)მაქარა არქანია-მერის წარმომადგენელი მუჟავას ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N511 40-49-43 ელ. ფოსტა. [Majara.argania@gmail.com](mailto:Majara.argania@gmail.com) );

ნ)ავთანდილ მანია-მერის წარმომადგენელი ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N599 85-71-13 ელ. ფოსტა. ----- );

ო)კახაბერ გოგობია-მერის წარმომადგენელი ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N 511 24-81-04 ელ. ფოსტა. ----- );

პ)თამთა ფიფია-მერის წარმომადგენელი ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N 558 51-81-81 ელ. ფოსტა. [Pipiatamta@gmail.com](mailto:Pipiatamta@gmail.com) );

ჟ)მამუკა ქარდავა-მერის წარმომადგენელი ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში (მობილურის N 599 99-26-60 ელ. ფოსტა. [mamukakardava@gmail.com](mailto:mamukakardava@gmail.com) );

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

**დანართი N1**

N	დასახლების სახელწოდება	საერთო კრების ახდომის ან კონსულტაციის გამართვის თარიღი და დრო	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება (ლარი)
1	ზღვია	24.03 11:00	კონსულტაცია	16000
2	ზედა მაზანდარა	24.03 12:00	საერთო კრება	16000
3	ქვედა მაზანდარა	24.03 13:00	კონსულტაცია	16000
4	ლუღერა-სამცანხვი	24.03 14:00	საერთო კრება	12000
5	ხვითური-საკაღანდიო	24.03 15:00	საერთო კრება	12000
6	სამესხიო	25.03 11:00	საერთო კრება	12000
7	ჯადირა	25.03 12:00	საერთო კრება	12000
8	ობუჯი	25.03 13:00	კონსულტაცია	16000
9	მიქავა	28.03 11:00	საერთო კრება	12000
10	ლეჯოლოხე	28.03 12:00	საერთო კრება	12000
11	ლეღვიხილე	28.03 13:00	საერთო კრება	10000
12	ნაკიფუ	29.03 11:00	კონსულტაცია	16000
13	ულურია	29.03 12:00	საერთო კრება	12000
14	ლეჟა	29.03 13:00	საერთო კრება	10000
15	ნანჯარუ	29.03 14:00	საერთო კრება	10000
16	ლეთკანეთი	30.03 11:00	საერთო კრება	12000
17	ჯგალი	30.03 12:00	კონსულტაცია	20000
18	ლესანჩილე	30.03 13:00	საერთო კრება	10000
19	ლეკაკულე	30.03 14:00	საერთო კრება	16000
20	ლესალე	30.03 15:00	საერთო კრება	10000
21	მედანი	30.03 16:00	საერთო კრება	12000
22	ლარა	30.03 17:00	საერთო კრება	12000
23	ლემძამიე	31.03 11:00	საერთო კრება	10000

5200 ქ. ნალენჯიხა, კ. სალიას ქ.# 5. ტელ: 599647050

5200 K.SALIA ST. #5. TSALENJIKHA,GEORGIA TEL: 599647050

WWW.TSALENJIKHA.GOV.GE E-MAIL. TSALENJIKHAMERIA@TSALENJIKHA.GOV.GE

24	ენერი	31.03	12:00	საერთო კრება	12000
25	ლექარდე	31.03	13:00	საერთო კრება	10000
26	პალური	01.04	11:00	საერთო კრება	16000
27	ლია	01.04	12:00	კონსულტაცია	20000
28	ზედა ლია	01.04	13:00	საერთო კრება	16000
29	მანარია	01.04	14:00	საერთო კრება	12000
30	ზედა საჩინო	04.04	11:00	საერთო კრება	10000
31	საჩინო	04.04	12:00	კონსულტაცია	16000
32	კუსეში	04.04	13:00	საერთო კრება	12000
33	ნაგურუ	04.04	14:00	საერთო კრება	12000
34	ლემამუგე	04.04	15:00	საერთო კრება	12000
35	ჩქვალერი	04.04	16:00	საერთო კრება	16000
36	ჭალე	05.04	11:00	კონსულტაცია	16000
37	ფოცხოეწერი	05.04	12:00	საერთო კრება	12000
38	ენერფერდი	05.04	13:00	საერთო კრება	12000
39	მუჟავა	05.04	14:00	საერთო კრება	12000
40	ოლორი	05.04	15:00	საერთო კრება	12000
41	ნაშამგუ	05.04	16:00	საერთო კრება	10000
42	ჭველე	06.04	11:00	საერთო კრება	16000
43	ფახულანი	06.04	12:00	საერთო კრება	12000
44	წყოუში	06.04	13:00	საერთო კრება	12000
45	ქალაღალი	06.04	14:00	საერთო კრება	12000
46	ოჭანე	07.04	11:00	საერთო კრება	12000
47	ქ. ჯვარი	07.04	12:00	კონსულტაცია	16000
48	ნაკა	07.04	13:00	საერთო კრება	10000
49	ჯვარი	07.04	14:00	კონსულტაცია	20000

გიორგი ხარჩილავა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

